ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის

დებულება

მუხლი 1. ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის არსი და მიზანი

ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზირებული კურსი არის სიღრმისეული თეორიულ-პრაქტიკული კურსი, რომელიც ხორციელდება წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ დარგებში და რომელიც მოიცავს შესაბამისი დარგისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა საკითხს.

ადვოკატთა ნებაყოფლობითი დარგობრივი სპეციალიზაციის (შემდგომში - დარგობრივი სპეციალიზაცია) მიზანია საქართველოში ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეწყობა, ადვოკატთა კვალიფიკაციისა და იურიდიული სერვისების ხარისხის ამაღლება და მომხმარებელთა ინტერესების ეფექტიანი დაცვა.

მუხლი 2. ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის მიმართულებები

2.1 ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაცია განხორციელდება შემდგომი მიმართულებებით: ეკონომიკური დანაშაულები, საბანკო სამართალი, საგადასახადო სამართალი, საკორპორაციო სამართალი, სამედიცინო სამართალი, სამშენებლო სამართალი, უძრავი ქონების სამართალი, შრომის სამართალი.

2. მიმდიარე დარგობრივი სპეციალიზაციი კურსების შესახებ ინფორმაცია დაინტერესებული პირებისათვის საჯაროდ და წინასწარ იქნება ხელმისაწვდომი.

მუხლი 3. დარგობრივი სპეციალიზაციის ხანგრძლივობა და განხორციელების წესი

3.1. ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის თითოეული მიმართულების ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებს 40 საათს, რომელიც თემატურ შეხვედრებზე გადანაწილდება მონაწილეთათვის წინასწარ ცნობილი განრიგით.

3.2 ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის კურსი განკუთვნილია არანაკლებ 15 და არაუმეტეს 25 მონაწილისათვის. იმ შემთხვევაში, თუკი კურსზე დარეგისტირდება მაქსიმალურ რაოდენობაზე მეტი მსურველი, მონაწილეები შეირჩევიან პირველადი რეგისტრაციის პრინციპის საფუძველზე.

3.3 სპეციალიზირებული კურსის/კურსების გავლა შეუძლიათ ადვოკატის სტატუსის არმქონე პირებსაც. ამასთან, ჯგუფის ფორმირებისას უპირატესობა ენიჭებათ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებს.

3.4 ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის კურსები ჩატარდება საქართველოს ადვოკათა ასოციაციაში, ფიზიკური დასწრების ფორმატში.

3.5. ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის კურსები გაიმართება პერიოდულად, ორგანიზატორების მიერ დადგენილი დროისა და კალენდრის შესაბამისად, რის შესახებაც ინფორმაცია წინასწარ იქნება ხელმისაწვდომი.

მუხლი 4. დარგობრივი სპეციალიზაციის პროგრამაზე რეგისტრაციის წესი

4.1 დარგობრივი სპეციალიზაციის კურსზე რეგისტრაცია ცხადდება საჯაროდ. ინფორმაცია განთავსდება როგორც გერმანულ-ქართული სამართლის ინსტიტუტის , ასევე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე.

4.2 რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება ელექტრონულად, გერმანულ-ქართული სამართლის ინსტიტუტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული სარეგისტრაციო ფორმის შევსების გზით.

4.2 რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების თარიღის შესახებ ინფორმაცია წინასარ და საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი.

4.3 რეგისტრაციისათვის საჭიროა პირმა წარმოადგინოს შემდგომი დოკუმენტაცია: (ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, (ბ) კურსის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

4.4. განცხადების ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება და კურსში მონაწილეობის დადასტურება განხორციელდება პირის მიერ ელექტორნული სარეგისტრაციო ფორმის შევსებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში. განცხადების ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში პირს მიეცემა დამატებით 5 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

მუხლი 5. ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის კურსის გამოცდა და შეფასების სისტემა

5.1 გამოცდის ფორმატი თითოეული სპეციალიზირებული კურსისათის განისაზღვრება ინდივიდუალურად, რის შესახებაც ინფორმაცია კურსის მონაწილეთათვის წინასწარ იქნება ცნობილი.

5.2 კურსის წარმატებით გასავლელად აუცილებელია საგამოცდო ტესტირებაში დადებითი შეფასების მიღება.

5.2 იმ შემთხვევაში, თუკი პირი ვერ მოახერხებს გამოცდის წარმატებით ჩაბარებას, მას მიეცემა არაუმეტეს ერთ დამატებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა.

მუხლი 6. დარგობრივი სპეციალიზაციის კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი)

6.1 სპეციალიზირებული კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში პირს გადაეცემა აღნიშნულის დამადასტურებელი ქართულ-ინგლისურენოვანი სერტიფიკატი.

6.2 კურსის წარმატებით გავლად მიიჩნევა პირის მიერ არანაკლებ 35 სთ-იანი დასწრების მაჩვენებელი და ფინალურ ტესტირებაში დადებითი შეფასების მიღება.

6.3 საპატიო მიზეზით გაცდენილი 5 საათის შესაბამისი ანაზღაურება მონაწილეებს უკან არ უბრუნდებათ.

მუხლი 7. სტატუსის შენარჩუნება

7. 1 სპეციალიზირებული ადვოკატის სტატუსის შენარჩუნების მიზნით, პირი ვალდებულია სპეციალიზირებულ დარგში ყოველწლიურად დააგროვოს სავალდებულო განგრძობადი იურიდიული განათლების არანაკლებ 5 (ხუთი) კრედიტ საათი;

7.2. ამ მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების თაობაზე ცნობებს სპეციალიზირებული სტატუსის მქონე ადვოკატი წარუდგენს ასოციაციას.

მუხლი 8. დარგობრივი სპეციალიზაციის კურსის საფასური

8.1 სპეციალიზირებულ კურსში მონაწილეობის ღირებულება თითოეული კურსისათვის განისაზღვრება ინდივიდუალურად გერმანულ-ქართული სამართლის ინსტიტუტის მიერ.

8.2 ასოციაციის წევრი ადვოკატებისთვის თითოეული კურსისათვის მოქმედებს 10%-იანი ფასდაკლება.

8.3 იმ შემთვევაში, თუკი პირი საპატიო მიზეზით ვეღარ აგრძელებს კურსში მონაწილეობას, მას შეუნარჩუნდება გადახდილი თანხა და შესაძლებლობა ექნება, ჩაერთოს მომდევნო და იგივე მიმართულების სპეციალიზირებულ კურსში.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1 კურსზე რეგისტრაციით მონაწილე ადასტურებს, რომ გაეცნო აღნიშნულ დებულებას.

9.2 დებულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე